დანართი

„განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების" პროგრამის „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის" ფარგლებში პროექტების წარმოდგენისა და დაფინანსების პირობები

<u>პროექტების წარმოდგენის პირობები</u>

თანაბარკონკურენტული პირობების შექმნის მიზნით, ყველა ინიციატივა წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინიციატივის განხილვა არ მოხდება. სამინისტროში ინიციატივების წარმოდგენა უნდა მოხდეს ოფიციალურად (სამინისტროს კანცელარიის გავლით) წერილობითი ფორმით.

პროექტების წარმოდგენა შესაძლებელია 2014 წლის **30 სექტემბრის ჩათვლით.** პროექტების განხილვა მოხდება ეტაპობრივად.

პროექტების შემოტანის უფლება აქვთ:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს;
- საინიციატივო ჯგუფებს;
- კერძო ორგანიზაციებს თუ მათი თანადაფინანსების წილი შეადგენს პროექტის ბიუჯეტის **50%-ს და მეტს.**

<u>პროექტების განხილვის პროცედურა</u>

პროექტებს განიხილავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კომისია იღებს გადაწყვეტილებას გასცეს რეკომენდაციები პროექტის ფორმატისა და შინაარსობლივი მხარის დასახვეწად. კომისია **ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით** პროექტის ავტორს რეკომენდაციას მისცემს არაუმეტეს ორჯერ. ორჯერ გაცემული რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში პროექტი აღარ განიხილება. პროექტის **განმეორებით წარმოდგენა უნდა მოხდეს რეკომენდაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.**

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში კომისიის კონკრეტული წევრი ინიციატივის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს.

კომისია მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას განხილული ინიციატივის დაფინანსების მიზანშეწონილობაზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტით ინიციატივის დაფინანსების შესახებ.

კომისიის მიერ პროექტის დაფინანსებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროექტის ავტორს ეცნობება პროექტში მითითებული ელ-ფოსტის მეშვეობით.

<u>პროექტების შეფასება</u>

ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული პროექტების განხილვისას უპირატესობა მიენიჭება მცირებიუჯეტიან პროექტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება **ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევაზე** და შესაბამისობაში იქნება შემდეგ **პრიორიტეტებთან:**

1. **მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება**

1.1 სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების ხელშეწყობა;
1.2 წიგნიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა;

2. **საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა**

2.1 პრესტიჟულ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონკურსებში იმ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურსებში/ოლიმპიადებში .

3. **მოსწავლეების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივების წახალისება**

3.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურების ხელშეწყობა;
3.2 სასკოლო შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა;

4. **საზღვრისპირა სოფლის სკოლების განვითარების ხელშეწყობა**

5. **ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა**

5.1 არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სასწავლო რესურსების შექმნის ხელშეწყობა.

6. **მოსწავლეებში დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.**

პროექტების **შეფასებისას** გათვალისწინებული იქნება შემდეგი ძირითადი **კრიტერიუმები:**

- ინიციატივის განაცხადის ფორმის გამართულობა;
- პროექტის მიზნის ზემოაღნიშნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა (კომისია უპირატესობას მიანიჭებს პრიორიტეტთან შესაბამის პროექტებს);
- იდენტიფიცირებულ პრობლემას, მიზანს, ამოცანას და განხორციელების გზებს შორის ლოგიკური ბმის არსებობა;
- მოსალოდნელი შედეგების რეალისტურობა, ეფექტურობა და ინდიკატორებთან შესაბამისობა;
- დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობა და ვადებთან შესაბამისობა/რეალისტურობა;
- ბიუჯეტის რეალისტურობა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა

სამინისტროს მიერ დაფინანსების გაცემის პრინციპები:

კომისიის მიერ პროექტის დაფინანსების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროექტის ავტორ ორგანიზაციას უფორმდება ხელშეკრულება შესაბამის თანხაზე. არსებობს სამინისტროს მხრიდან თანხის მიღების ორი პრინციპი:

1. თანხის ანაზღაურება **წინასწარი გადარიცხვის** გზით განხორციელდება ორგანიზაციის მიერ **საბანკო გარანტიის** წარმოდგენის შემთვევაში (ეს წესი არ ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებზე).
2. თუ ორგანიზაცია ვერ ახერხებს საბანკო გარანტიის წარმოდგენას, მაშინ მან **საკუთარი სახსრებით** უნდა განახორციელოს პროექტი (მთლიანად ან ეტაპობრივად) და ანაზღაურება განხორციელდება **შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ** ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

(პროექტის დასრულების შემდეგ ან ეტაპობრივად ცალკეული აქტივობების განხორციელების შემდეგ).